

## საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის

ბრძანება №483

2007 წლის 14 ივნისი

ქ. თბილისი

### სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მოსამსახურის კონტრაქტის ნიმუშის დამტკიცების შესახებ

„სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მოსამსახურის კონტრაქტის ნიმუში:

ა) №1 დანართის შესაბამისად – მოკლევადიანი კონტრაქტი;

ბ) №2 დანართის შესაბამისად – გრძელვადიანი კონტრაქტი.

*საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2011 წლის 26 ოქტომბრის ბრძანება №1250 - ვებგვერდი, 01.11.2011წ.*

2. სამსახურის ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) ადამიანური რესურსების მართვის მთავარმა სამმართველომ საკონტრაქტო სამსახურში მისაღებ კანდიდატებთან კონტრაქტის გაფორმება აწარმოოს შესაბამისი დანართით გათვალისწინებული ნიმუშების მიხედვით.

*საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2011 წლის 24 თებერვლის ბრძანება №194 - ვებგვერდი, 28.02.2011წ.*

*საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2011 წლის 26 ოქტომბრის ბრძანება №1250 - ვებგვერდი, 01.11.2011წ.*

*საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2020 წლის 25 ივნისის ბრძანება №15786 - ვებგვერდი, 26.06.2020წ.*

3. ბრძანება გაეცნოს სამსახურის უფროსის მოადგილეებს და სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებს.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში საკონტრაქტო სამსახურის გავლის შესახებ“ ხელშეკრულების ნიმუშის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2003 წლის 28 მაისის №17 ბრძანება (სსმ III, 2003 წ., №55, მუხ. 477).

5. (ამოღებულია - 25.11.2014; №34679).

*საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2011 წლის 24 თებერვლის ბრძანება №194 - ვებგვერდი, 28.02.2011წ.*

*საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2014 წლის 25 ნოემბრის ბრძანება №34679 - ვებგვერდი, 27.11.2014წ.*

6. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**ო. ქველიძე**

**შეტანილი ცვლილებები:**

1. საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2011 წლის 24 თებერვლის ბრძანება №194 - ვებგვერდი, 28.02.2011წ.
2. საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2011 წლის 29 მარტის ბრძანება №319 - ვებგვერდი, 01.04.2011წ.
3. საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2011 წლის 26 ოქტომბრის ბრძანება №1250 - ვებგვერდი, 01.11.2011წ.
4. საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №1135 - ვებგვერდი, 03.08.2012წ.
5. საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2014 წლის 25 ნოემბრის ბრძანება №34679 - ვებგვერდი, 27.11.2014წ.

## **დანართი №1**

*საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2011 წლის 26 ოქტომბრის ბრძანება №1250 - ვებგვერდი, 01.11.2011წ.*

### **კონტრაქტი №**

#### **სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში საკონტრაქტო სამსახურის გავლის შესახებ**

(მოკლევადიანი კონტრაქტი)

#### **თავი I კონტრაქტის მხარეები**

##### **მუხლი 1**

ერთი მხრივ, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური (შემდგომში – „სამსახური“) სამსახურის უფროსის (ან სამსახურის უფროსის მიერ უფლებამოსილი პირის) \_\_\_\_\_ სახით და მეორე მხრივ წვევამდელი \_\_\_\_\_ (შემდგომში – „კონტრაქტორი“) „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე კონტრაქტს შემდეგი პირობებით:

*საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2014 წლის 25 ნოემბრის ბრძანება №34679 - ვებგვერდი, 27.11.2014წ.*

#### **თავი II კონტრაქტის საგანი**

## **მუხლი 2**

კონტრაქტის საგანს წარმოადგენს სამსახურის მიერ, საკონტრაქტო პირობების შესაბამისად, საქართველოს მოქალაქის საკონტრაქტო სამსახურში მიღება.

## **თავი III**

### **კონტრაქტის ძალაში შესვლისა და საკონტრაქტო სამსახურში ჩარიცხვის (მიღების) პირობები**

## **მუხლი 3**

კონტრაქტი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან.

## **მუხლი 4**

სავალდებულო სამხედრო სამსახურის ვადაში ჩასათვლელად, კონტრაქტორის ნამსახურობის ვადის ათვლა დაიწყება მისი საკონტრაქტო სამსახურში ჩარიცხვის, სამხედრო ფიცისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ფიცის მიღების დღიდან.

## **მუხლი 5**

საკონტრაქტო სამსახურში ჩარიცხვა (მიღება) განხორციელდება კონტრაქტორის მიერ სპეციალური თეორიულ-პრაქტიკული სწავლების დადებითი შედეგებით გავლის შემთხვევაში. არადაამკმაყოფილებელი შედეგი წარმოადგენს საკონტრაქტო სამსახურში ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველს.

## **თავი IV**

### **მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა**

## **მუხლი 6**

სამსახური ვალდებულია:

ა) თეორიულ-პრაქტიკული სწავლების პერიოდში უზრუნველყოს კონტრაქტორი კვებით, პირველადი სამედიცინო დახმარებით და სამსახურის ბაზაზე არსებულ ყაზარმაში ცხოვრებით;

ბ) საკონტრაქტო სამსახურში ჩარიცხვის (მიღების) შემდეგ, უზრუნველყოს კონტრაქტორი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სოციალური გარანტიებით, სპეციალური ფორმის ტანსაცმლით, აღჭურვილობითა და შესაბამისი ნორმატიული აქტით დადგენილი ფულადი ანაზღაურებით;

გ) გააცნოს კონტრაქტორს საქართველოს კანონის „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ მოთხოვნები, აგრეთვე სხვა ნორმატიული აქტებითა და ინსტრუქციებით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები;

დ) განახორციელოს კონტრაქტორის მიმართ წაყენებული მოთხოვნების შესრულებაზე;

ე) საკონტრაქტო სამსახურის ვადის გასვლის შემდეგ, უზრუნველყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამის სამსახურში ცნობის გაგზავნა საკონტრაქტო სამსახურში ნამსახურობის საფუძველზე კონტრაქტორისათვის სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლილად ჩათვლის მიზნით.

## **მუხლი 7**

კონტრაქტორი ვალდებულია:

ა) გაიაროს სამსახურის სპეციალური თეორიულ-პრაქტიკული სწავლების საკარანტინო პერიოდი;

ბ) იმსახუროს დანიშნულ თანამდებობაზე, მტკიცედ დაიცვას სადისციპლინო მოთხოვნები, სამხედრო ფიცი და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მოსამსახურის ფიცი;

გ) გაუფრთხილდეს მისთვის გადაცემულ მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებს, აანაზღაუროს მისი ბრალეულობით სამსახურისათვის მიყენებული ზიანი;

დ) ზედმინვენით შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით, სხვა ნორმატიული აქტებითა და ამ კონტრაქტით გათვალისწინებული მოთხოვნები.

### **მუხლი 8**

კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის მხარეებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## **თავი V**

### **კონტრაქტის მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის პირობები**

### **მუხლი 9**

კონტრაქტის მოქმედების ვადა განისაზღვრება \_\_\_\_\_ თვით.

### **მუხლი 10**

კონტრაქტის მოქმედების შეწყვეტის საფუძვლებია:

- ა) კონტრაქტის მოქმედების ვადის გასვლა;
- ბ) კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტა.

### **მუხლი 11**

კონტრაქტი ვადამდე შეწყდება კონტრაქტის მე-5 მუხლით გათვალისწინებული არაღამაკმაყოფილებელი შედეგების ან/და „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შესაბამისი გარემოებების საფუძველზე.

*საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2014 წლის 25 ნოემბრის ბრძანება №34679 - ვებგვერდი, 27.11.2014წ.*

### **მუხლი 12**

კონტრაქტი ვადამდე შეიძლება შეწყდეს მხარეთა მიერ კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების საფუძველზე, რითაც დაირღვა კონტრაქტით გათვალისწინებული პირობები.

### **მუხლი 13**

1. კონტრაქტორი თავისი ინიციატივით (თვითნებურად) ან ბრალეულობით კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში:

ა) საერთო წესით დაეფემდებარება სავალდებულო სამხედრო სამსახურში განწვევას, კონტრაქტით ნამსახურები ვადის ჩაუთვლელად;

ბ) დაეკისრება ფინანსური პასუხისმგებლობა, რომელიც მოიცავს პირგასამტეხლოს 700 (შვიდასი) ლარის ოდენობით, აგრეთვე სპეციალური ფორმის ტანსაცმლით უზრუნველყოფაზე, ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმებაზე, თეორიულ-პრაქტიკული სწავლების პერიოდში სპეციალურ მომზადებაზე და კვებით უზრუნველყოფაზე განეულ ხარჯებს;

2. კონტრაქტორი ვალდებულია დაკისრებული ფინანსური პასუხისმგებლობით გათვალისწინებული თანხა გადაიხადოს 6 (ექვსი) თვის ვადაში, გარდა დადგენილი წესით ვადის გაგრძელების ან განაწილვადებისა და სამსახურში წარმოადგინოს თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო კონტრაქტორს არ დაეკისრება, თუ კონტრაქტი ვადამდე შეწყდება სპეციალური თეორიულ-პრაქტიკული სწავლების არაღამაკმაყოფილებელი შედეგით გავლის საფუძველზე;

*საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №1135 - ვებგვერდი, 03.08.2012წ.*

#### **მუხლი 14**

1. კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, კონტრაქტორი სამსახურის ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) ადამიანური რესურსების მართვის მთავარი სამმართველოდან იღებს წერილობით შეტყობინებას, რომელშიც აღინიშნება კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტის საფუძველი და შეწყვეტის თარიღი.

2. მე-13 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტისას, წერილობით შეტყობინებაში დამატებით აღინიშნება:

ა) დაკისრებული ფინანსური პასუხისმგებლობის შესაბამისად გადასახდელი თანხის ოდენობა და შესაბამისი საბანკო ანგარიშის ნომერი სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე;

ბ) თანხის გადახდის ვადის, რომელიც აითვლება შეტყობინების ჩაბარების დღიდან, ამონურვის თარიღი.

3. კონტრაქტორი შეტყობინების მიღებას ადასტურებს ხელმოწერით.

*საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2020 წლის 25 ივნისის ბრძანება №15786 - ვებგვერდი, 26.06.2020წ.*

#### **მუხლი 15**

კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### **თავი VI მხარეთა რეკვიზიტები**

#### **მუხლი 16**

კონტრაქტი შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი თითოეული მხარისათვის.

სამსახური:

\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_

კონტრაქტორი:

\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_

„\_\_\_“ „\_\_\_\_\_“ 20-წ.

„\_\_\_“ „\_\_\_\_\_“ 20-წ.

(ბ.ა)

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2011 წლის 26 ოქტომბრის ბრძანება №1250 - ვებგვერდი, 01.11.2011წ.

კონტრაქტი № —

სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში  
საკონტრაქტო სამსახურის გავლის შესახებ

(გრძელვადიანი კონტრაქტი)

თავი I  
კონტრაქტის მხარეები

მუხლი 1

ერთი მხრივ, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური (შემდგომში – „სამსახური“) სამსახურის უფროსის (ან სამსახურის უფროსის მიერ უფლებამოსილი პირის) \_\_\_\_\_ სახით და მეორე მხრივ წევვამდელი \_\_\_\_\_ (შემდგომში – „კონტრაქტორი“) „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე კონტრაქტს შემდეგი პირობებით:

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2014 წლის 25 ნოემბრის ბრძანება №34679 - ვებგვერდი, 27.11.2014წ.

თავი II  
კონტრაქტის საგანი

მუხლი 2

კონტრაქტის საგანს წარმოადგენს სამსახურის მიერ, საქართველოს მოქალაქის საკონტრაქტო სამსახურში მიღება გრძელვადიანი კონტრაქტით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

თავი III

კონტრაქტის ძალაში შესვლისა და საკონტრაქტო სამსახურში ჩარიცხვის (მიღების) პირობები

მუხლი 3

კონტრაქტი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 4

სავალდებულო სამხედრო სამსახურის ვადაში ჩასათვლელად, კონტრაქტორის ნამსახურობის ვადის ათვლა დაიწყება მისი საკონტრაქტო სამსახურში ჩარიცხვის, სამხედრო ფიცისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ფიცის მიღების დღიდან.

## მუხლი 5

საკონტრაქტო სამსახურში ჩარიცხვა (მიღება) განხორციელდება შესაბამისი შესარჩევი ტესტირების შედეგების გათვალისწინებით, კონტრაქტორის მიერ სპეციალური თეორიულ-პრაქტიკული სწავლების დადებითი შედეგებით გავლის შემთხვევაში. არადაამაკმაყოფილებელი შედეგი წარმოადგენს საკონტრაქტო სამსახურში ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველს.

## თავი IV

### მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა

## მუხლი 6

სამსახური ვალდებულია:

- ა) თეორიულ-პრაქტიკული სწავლების პერიოდში უზრუნველყოს კონტრაქტორი კვებით, პირველადი სამედიცინო დახმარებით და სამსახურის ბაზაზე არსებულ ყაზარმაში ცხოვრებით;
- ბ) საკონტრაქტო სამსახურში ჩარიცხვის (მიღების) შემდეგ, უზრუნველყოს კონტრაქტორი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სოციალური გარანტიებით, სპეციალური ფორმის ტანსაცმლით, აღჭურვილობითა და შესაბამისი ნორმატიული აქტით დადგენილი ფულადი ანაზღაურებით;
- გ) გააცნოს კონტრაქტორს საქართველოს კანონის „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ მოთხოვნები, აგრეთვე სხვა ნორმატიული აქტებითა და ინსტრუქციებით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები;
- დ) განახორციელოს კონტროლი კონტრაქტორის მიმართ წაყენებული მოთხოვნების შესრულებაზე;
- ე) საკონტრაქტო სამსახურის ვადის გასვლის შემდეგ, უზრუნველყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამის სამსახურში ცნობის გაგზავნა საკონტრაქტო სამსახურში ნამსახურობის საფუძველზე კონტრაქტორისათვის სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლილად ჩათვლის მიზნით.

## მუხლი 7

კონტრაქტორი ვალდებულია:

- ა) გაიაროს სამსახურის სპეციალური თეორიულ-პრაქტიკული სწავლების საკარანტინო პერიოდი;
- ბ) იმსახუროს დანიშნულ თანამდებობაზე, მტკიცედ დაიცვას სადისციპლინო მოთხოვნები, სამხედრო ფიცი და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მოსამსახურის ფიცი;
- გ) გაუფრთხილდეს მისთვის გადაცემულ მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებს, ანაზღაუროს მისი ბრალეულობით სამსახურისათვის მიყენებული ზიანი;
- დ) ზედმინევით შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით, სხვა ნორმატიული აქტებითა და ამ კონტრაქტით გათვალისწინებული მოთხოვნები.

## მუხლი 8

კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის მხარეებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## თავი V

### კონტრაქტის მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის პირობები

## მუხლი 9

კონტრაქტის მოქმედების ვადა განისაზღვრება \_\_\_\_\_-ით.

(წელი, თვე)

## **მუხლი 10**

კონტრაქტის მოქმედების შეწყვეტის საფუძვლებია:

- ა) კონტრაქტის მოქმედების ვადის გასვლა;
- ბ) კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტა.

## **მუხლი 11**

კონტრაქტი ვადამდე შეწყდება კონტრაქტის მე-5 მუხლით გათვალისწინებული არაღამაკმაყოფილებელი შედეგების ან/და „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შესაბამისი გარემოებების საფუძველზე.

*საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2014 წლის 25 ნოემბრის ბრძანება №34679 - ვებგვერდი, 27.11.2014წ.*

## **მუხლი 12**

კონტრაქტი ვადამდე შეიძლება შეწყდეს მხარეთა მიერ კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების საფუძველზე, რითაც დაირღვა კონტრაქტით გათვალისწინებული პირობები.

## **მუხლი 13**

1. კონტრაქტორი თავისი ინიციატივით (თვითნებურად) ან ბრალეულობით კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში:

ა) საერთო წესით დაეჭვებდებარება სავალდებულო სამხედრო სამსახურში განვევას, კონტრაქტით სამსახურები ვადის ჩაუთვლელად;

ბ) დაეკისრება ფინანსური პასუხისმგებლობა, რომელიც მოიცავს პირგასამტეხლოს, აგრეთვე სპეციალური ფორმის ტანსაცმლით უზრუნველყოფაზე, ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმებაზე, სპეციალურ მომზადებაზე და თეორიულ-პრაქტიკული სწავლების პერიოდში კვებით უზრუნველყოფაზე განეულ ხარჯებს;

2. პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენს კონტრაქტის მოქმედების:

- ა) პირველ წელს შეწყვეტის შემთხვევაში – 4000 (ოთხი ათას) ლარს;
- ბ) მეორე წელს შეწყვეტის შემთხვევაში – 3000 (სამი ათას) ლარს;
- გ) მესამე წელს შეწყვეტის შემთხვევაში – 2000 (ორი ათას) ლარს;
- დ) მეოთხე წელს შეწყვეტის შემთხვევაში – 1000 (ათას) ლარს.

3. კონტრაქტორი ვალდებულია დაკისრებული ფინანსური პასუხისმგებლობით გათვალისწინებული თანხა გადაიხადოს განსაზღვრულ ვადაში, გარდა დადგენილი წესით ვადის გაგრძელების ან განაწილვადებისა და სამსახურში წარმოადგინოს თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, კერძოდ:

ა) 18 (თვრამეტი) თვის ვადაში – თუ კონტრაქტის მოქმედება შეწყდება მისი ძალაში შესვლიდან არა უმეტეს ერთი წლის განმავლობაში;

ბ) 12 (თორმეტი) თვის ვადაში – თუ კონტრაქტის მოქმედება შეწყდება მისი ძალაში შესვლიდან ერთ წლის შემდგომ პერიოდში არა უმეტეს 2 წლისა;

გ) 6 (ექვსი) თვის ვადაში – თუ კონტრაქტის მოქმედება შეწყდება მისი ძალაში შესვლიდან 2 წლის შემდგომ პერიოდში.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო კონტრაქტორს არ დაეკისრება, თუ კონტრაქტი ვადამდე შეწყდება სპეციალური თეორიულ-პრაქტიკული სწავლების არაღამაკმაყოფილებელი შედეგით გავლის საფუძველზე.



საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №1135 - ვებგვერდი, 03.08.2012წ.

#### მუხლი 14

1. კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, კონტრაქტორი სამსახურის ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) ადამიანური რესურსების მართვის მთავარი სამმართველოდან იღებს წერილობით შეტყობინებას, რომელშიც აღინიშნება კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტის საფუძველი და შეწყვეტის თარიღი.

2. მე-13 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტისას, წერილობით შეტყობინებაში დამატებით აღინიშნება:

ა) დაკისრებული ფინანსური პასუხისმგებლობის შესაბამისად გადასახდელი თანხის ოდენობა და შესაბამისი საბანკო ანგარიშის ნომერი სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე;

ბ) თანხის გადახდის ვადის, რომელიც აითვლება შეტყობინების ჩაბარების დღიდან, ამონურვის თარიღი.

3. კონტრაქტორი შეტყობინების მიღებას ადასტურებს ხელმოწერით.

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2020 წლის 25 ივნისის ბრძანება №15786 - ვებგვერდი, 26.06.2020წ.

#### მუხლი 15

კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### თავი VI მხარეთა რეკვიზიტები

#### მუხლი 16

კონტრაქტი შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი თითოეული მხარისათვის.

სამსახური:

\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_

კონტრაქტორი:

\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_

„\_\_\_“ „\_\_\_\_\_“ 20-წ.

„\_\_\_“ „\_\_\_\_\_“ 20-წ.

(ბ.ა)”.